

პრესრელიზი

"ნეოგაზის" ახალი გაზგასამართი სადგური ორთაჭალაში გაიხსნა

1 ოქტომბერს, ორთაჭალაში, გულუას ქ. N22-ში "ნეოგაზის" ქსელის რიგით მე-18 ავტო გაზგასამართი სადგური გაიხსნა. მომხმარებლებს საჩუქრად გადაეცათ ლოიალური ბარათები "ნეოქარდი", სასაჩუქრე საფულეები და რუკები.

"ნეოგაზის" მომხმარებლებს საშუალება ექნებათ 24 საათის განმავლობაში მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება, შეიძინონ ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა და ეკონომიური საწვავი საუკეთესო ფასად და დააგროვონ ქულები "ნეოქარდზე".

"ნეოგაზი" მიზნად ისახავს ქსელის გაფართოებას და ახლო მომავალში საქართველოს მთელ არეალს მოიცავს.

1.10.2016

"საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია" (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნესი ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია ფლობს ყველაზე ფართო ავტო გაზგასამართი სადგურების ქსელს საქართველოს მასშტაბით.

